572
1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1976 მაისი № 5

დილა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამაისო

ირინე უშვერიძე

კრემლის კოშკიდან მოფრინდა—
მშვიდობის თეთრი მტრედი,
ზეცას ნათელი მოჰფინა,
რა ლამაზია, დედი!

ღუღუნით შეინავარდა,
მაისი მოგვახარა.
აუვავებულო მამულო,
მშვიდობა გქონდეს მარად!

ნახატი **თემურ ჩირინაშვილისა**

სიმართლე

ლავრენტი ჭიჭინაძე

ნახატი ომარ ჩუბინიძისა

ერთ სკოლაში ხუთი მესამე კლასია. მესამე „გ“ კლასი ყველასაგან გამოირჩევა: ორიოდე ბავშვია სამოსანი კლასში, დანარჩენი ოთხოსნები და ხუთოსნებია.

რუსუდანიც ფრიადოსანია, რაც კი ასწავლა ლონდა მასწავლებელმა, ყველაფერი იცის—ძველიც და ახალიც.

ერთხელაც, ლონდა მასწავლებელი დავალებას ამოწმებდა. ყველას გაშლილი რვეული ედო წინ—მერხზე.

ლონდა მასწავლებელმა ყველა დავალება ჩაათვალიერა. ბოლოს თქვა:

— *დღეს ვისაც არა აქვს დავალება შესრულებული*, ხვალ აუცილებლად მოიტანოს.

შესვენებაზე რუსუდანმა თავის ამხანაგს—ეკას უთხრა:

— როგორ გადავრჩი! დავალება არ მქონდა. ჩემკენ არც გამოუხედავს ლონდა მასწავლებელს.

— მართლა, როგორ გამორჩი?!—გაკვირვებით თქვა ეკამ.

მეორე დღეს კი გაკვეთილი ასე დაიწყო:

— ახლა გუშინდელ საშინაო დავალებას რუსუდანი წაიკითხავს!—თქვა ლონდა მასწავლებელმა.

რუსუდანიც ადგა და დავალება სხაპასხუპით ჩაიკითხა.

— ძალიან კარგი,—თქვა მასწავლებელმა,—ახლა მითხარი რუსუდან, გუშინ რომ მომეთხოვა დავალების წაკითხვა, წაიკითხავდი?

— ვერა, მასწავლებელო!

— რატომ?

რუსიკო შეიშმუშნა და ბოლოს, თამამად უთხრა სიმართლე:

— იმიტომ, რომ გუშინ ეს დავალება არ მქონდა დაწერილი!

— ყოჩაღ, რუსუდან, დავალება ძალიან კარგად დაგიწერია, მაგრამ სიმართლე რომ თქვი, ეს კიდევ უკეთესია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაქცეული ჩემპიონი

მორის ფოცხიშვილი

ძველ ჩემპიონს,
ალბათ ხვდებით,
მიტომ აქცევს
ახლა ყველა,
ადრე დილით
ჰანტელებით
არ ვარჯიშობს
თურმე გელა.

რაზომ გასუქდა ზურა

დაემდურა ფიზკულტურას
და გასუქდა უცებ ზურა.
რა უშველის ახლა ზურას?
ალბათ ისევ ფიზკულტურა!

ნახატები **მანანა ჯავახიშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიზმარი

ნინო ბეზარაშვილი

ნახატები ზაურ დეისაძისა

მაღალი მთების იქით, ხევის პირას, ყვავიღებით მოჩითულ მინდორში, ვეებერთელა ღობი იდო. ღობეს ერთი მხარე გამოტეხილი ჰქონდა და იქ პაწაწინა ყვავილი ამოსულიყო. ფესვები კი გაეტანა მიწაში, მაგრამ მის ფოთლებს ჯერ მზის სხივი და ცის ნამი არ ღირსებოდა. კოკორიც არ ეშლებოდა, ამიტომ რა ერქვა ამ ყვავილს, არავინ იცოდა. წვიმა რომ მოვიდოდა, ნიალვარი ბაღახს წააწვენდა, მაშინ ყვავილი თითქმის მთელს მინდორს ხედავდა, მაგრამ როცა ბაღახები კვლავ ფეხზე წამოდგებოდნენ, ეფარებოდნენ ღრმულს და ყვავილი ისევ სიბნელეში რჩებოდა, მაღლა აიწევდა—ქვის ჭერს მიებჯინებოდა, გვერდზე გაიწევდა და—ქვის კედელს ეჯახებოდა.

ერთხელ ღრმულში მატიტელამ შეიჭყიტა და ყვავილს უთხრა:

— რამ დაგაღონა, რა იყო, ააშრიალე ფოთლები, გაიცინე!

— ეჰ, აბა, რა გამახარებს, ვერა ხედავ, რა ახლოა ბედნიერება: მზე, ჟუჟუნა წვიმა, გრილი

ეროვნული

ნიავი, მე კი არც მზე მწვდება, არც წვიმის წვეთები მეცემა. რა ვიცი, რაღა ამ ჯურღმულში ამოვედი, ცოტა მინდორია ქვეყნად?

ახლა გულკეთილმა ჟუნჟრუკომ შეიხედა ღრმულში, შეეცოდა ყვავილი, მოეფერა და თანაგრძნობით უთხრა:

— რას იზამ, მაგრამ შენც რომ არ ცდილობ?! დგეხარ და ტირი. დაიხარე, თავი გარეთ გამოყავ, მზის სხივები მოგხვდება, ნიავი დაგიბერავს და ცოტა გამოცოცხლდები.

— კარგი რჩევაა, მეზობელო, მაგრამ როგორ დავიხარო, ერთხელაც ვცადე და კინაღამ წელში გადავტყდი,—მიუგო ყვავილმა.

ერთ დილას ლოდის მახლობლად ამოსულ ბალახებს ყვავილის ტირილი შემოესმათ. ბალახები შეირხნენ, შექოთქოთდნენ, გაიწ-გამოიწიეს და ღრმულში შეიხედეს.

— რა გატირებს, საბრალო, ჰიამ ხომ არ გაწყებინა?

— არა, არაფერსაც არ უკბენია, მხოლოდ წუხელ ძალიან კარგი სიზმარი ვნახე და დამენანა რომ გამომეღვიძა.

— აბა, ერთი თქვი, რა ნახე, მე ვიცი სიზმრის ახსნა,—უთხრა ჟუნჟრუკომ.

— მეც ვიცი, მეც!—თავისი წვეტიანი ფოთოლი ღრმულისაკენ გადახარა იონჯამ.

ბალახები გაინაბნენ, ფოთლები დააცქვიტეს, რომ კარგად გაეგონათ ყვავილის ხმა.

— ჰოდა, ვითომ,—დაიწყო ყვავილმა,—აქ ვიდექი, სადაც ახლა ვდგავარ, დაღონებული, ჩაფიქრებული. უცბად დაიგრგვინა რაღაცამ, თითქოს მიწა იძრაო, გავქანდი და გამოვქანდი, ცოტა ხნის მერე კი წყალმა შემოასხა ღრმულში. შემცივდა, შემაცახცახა, კიდევ დაიგრგვინა, კიდევ შემოვარდა წყალი ღრმულში და კინაღამ გადამტეხა. მერე ვერაფერი ველარ გავიგე. ვითომ გული წამივიდა და როცა გონს მოვედი, ვიგრძენი, რომ ლოდის ქვეშ აღარ ვიდექი, ირგვლივ სინათლე იყო, წვიმის წვეთები ბრწყინავდნენ ფოთლებზე და ჩუხჩუხებდნენ ნაკადულები. „სადა ვარ, რა მოხდა?“—ვამბობდი გაკვირვებული.

— ნუ გეშინია, ახლა ჩვენთან ხარ მზეში, წვიმაში!—მიპასუხეთ თქვენ, კეთილო ბალახებო,—ნიაღვარი მოვარდა და სადღაც წაიღო ის ლოდი, შენ რომ მზეს გიფარავდაო.

მივიხედ-მოვიხედე, მართლაც ნიაღვარს ლოდი წაელო და ქვემოთ, დიდ მრგვალ ნაცეცხლარზე დაედო.

— ნეტა ეს რა ყვავილიაო,—იკითხა რომელიღაც ბალახმა, როცა ჩემი გაყვითლებული ფოთლები და ნახევრად გამხმარი კოკორი დაინახა, მაგრამ, აბა, რას ეტყოდნენ, ვინ იცოდა ჩემი სახელი!

— ოჰ, რა მიმჰკნარია, მაგას ველარც მზე უშველის და ველარც წვიმაო!—ჩაილაპარაკა კიდევ ვიღაცამ.

— მე კი ვიდექი ასე დაძმარებული და ახლა იმაზე ვნაღვლობდი, ეს ლოდი ხომ მომცილდა, რა იქნებოდა, იმ დალოცვილ ბუნებას ცოტა სილამაზე მოეცა ჩემთვის-მეთქი.

მერე ვითომ ძალიან დიდი დრო გავიდა და მინდორში მოვიდნენ ბავშვები, ლამაზი, კეთილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშვები. ჯერ აქეთ-იქით დარბოდნენ, მერე ჩემკენ გამოიქცნენ და იცით, რა თქვეს?

— შეხედეთ, შეხედეთ, გვირილა ამოსულა ჩვენს მინდორშიო.

ერთმა ბიჭუნამ ხელი წამატანა, ჩემი ყვავილის მოწყვეტა უნდოდა, მაგრამ გოგონამ დაუშალა:

— მაგას თუ მოწყვეტ, კოკრებს შეეშინდებათ და აღარ გაიშლებიანო.

— ეგ გვირილაა, ღამაზი გვირილა, მოდი, ნუ მოვწყვეტთ, იყოს, მინდორი დაამშვენოს!—აყივყივდნენ სხვა ბავშვებიც.

— შენ თურმე გვირილა ყოფილხარ, სულ არა ჰგავდი!

— რომ იცოდე, ახლა რა ღამაზი ხარ! სადღაა შენი ყვითელი დამჭკნარი ფოთლები, სულ მწვანედ ხასხასებენ, ერთი კოკორი უკვე გაგშლია და სხვებიც მალე გაგეშლება,—მეუბნებოდით თქვენც, კეთილო მეზობლებო.

მე კი ყელმოღერებული ვიდექი და მზეს შევცქეროდი, წარმოგიდგენიათ, დიდ ოქროსფერ მზეს, ნეტავ როგორ ამიხდება? ჩემს სიცოცხლეში ასეთი კარგი სიზმარი არ მინახავს.

— ისე აგიხდება, როგორც ნახე,—დაბეჯითებით უთხრა ცისთვალამ.

— ასეც მოხდება, ეს ღოდი სულ მუდამ აქ კი არ იდება, ბევრი ამისთანა ღოდი ყოფილა მაღლობზე წამოჭიმული, მაგრამ მოვარდნილა ნიაღვარი და ხევებში ჩაუბრძანებია.—დაიმედა ყვავილი ხვართქლამ, რომელსაც წვერო ხევის პირას ამოზრდილი ანწლისათვის შემოეხვია, ჰოდა, იქიდან ხშირად იჭყიტებოდა ხევში და იქაური ამბები სულ წმინდად იცოდა.

ყვავილს იმედი მიეცა, გამოცოცხლდა, ოდნავ შეირხა და გაიღიმა.

— გვირილაა, მართლა გვირილაა! აბა, დააკვირდით! განა არა, ნაცნობი ფოთლები გქონდა, მაგრამ სიზმარი რომ არ გეთქვა, მაინც ვერ მივხვდებოდით.—შეჰხაროდნენ ყვავილს ბაღახები.

— გაიღიმე, კიდევ გაიღიმე, ნუ გეშინია. ხვართქლასი არ იყოს, სულ აქ ხომ არ იდება ეს ღოდი. ერთხელაც იქნება მოვარდება ღვართქაფი და სადღაც წაიღებს!—თქვა რომელიღაც ბაღახმა.

— ნეტამც, ნეტამც...—შრიალით ჩაუარა მინდორს კეთილმა ჩურჩულმა.

ტყეში

გივი ჭიჭინაძე

სადღაც დათვი დაბანდალებს—
დათვი თაფლით გამომთვრალი.
სადღაც ჩირგვში კურდღელი თვლემს,
სადღაც ბრწყინავს წყاროსთვალი.
სადღაც ხეზე ციყვი მჯდარა,—
კერკეტელა კაკალს ამტვრევს.
სადღაც სოკო ამომძვრალა,
თავზე ნეშო დაჰფარფატებს.
სადღაც ჩრდილში ტყისმცველი ზის,
დაქანცული წყალს სვამს პეშვით.
ტყე კი ისე დაბურულა
არაფერი არ ჩანს ტყეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომბრელი

შალვა შუბლაძე

კოხტა გოგოა ნელი,—
პატარა ოქტომბრელი;
გადირბენს ეზოს, ბაღჩას,
ფეხქვეშ ეგება ველი,—
ფერად-ფერადი ფარჩა,
ნაირ-ნაირი ფერის;
ბუნება მისთვის ხაროობს,
ყვავილი ბევრზე-ბევრი,
მისთვის წკრიალებს წყარო,
ბულბულიც მისთვის მღერის,
დღეს ოქტომბრელი ჰქვია,—
ხვალ ხდება პიონერი.

ნახატი **ედუარდ ამბოკაძისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამიკოს პერანგი

თენგიზ კეკელიძე

მე სალომე მქვია, სამი წლისა ვარ, ჩემი და, ელენე, ჩემზე უფროსია.

მე და ელენეს დედიკო და მამიკო ძალიან გვიყვარს.

ერთხელ, მამიკოს თავისმა მეგობარმა, თენგიზ ბიძიამ, ლამაზი პერანგი აჩუქა.

მამა იმ პერანგს იშვიათად იცვამდა, უფრთხილდებოდა.

ერთ საღამოს დედამ კარადა გამოაღო და სახტად დარჩა: კარადაში იმ ლამაზი პერანგის საყელო და სახელოებიღა ეკიდა. დედამ დიდხანს ატრიალა ხელში საყელოსა და სახელოების ამარა დარჩენილი პერანგი, მერე ელენეს ჰკითხა:

— ელენე, რა დაემართა ამ პერანგს?

ელენემ თავი ჩაღუნა და ცერა თითს დაუწყო წვალება.

— შენ, არც მამა გიყვარს, არც დედა, არც თენგიზ ბიძია, არც ვინმეს პატივისცემა გაქვს,—უსაყვედურა დედამ.

აბა, ელენე რა შუაში იყო, მას ყველა ძალიან უყვარდა. ხმა ვერ ამოიღო, ისე აზლუქუნდა. მე ძალიან შემეცოდა ელენე, თავი ვეღარ შევიკავე, დედასთან მივვარდი და ვუთხარი:

— მაშ, თენგიზ ბიძიას ნაჩუქარი ჩემი თოჯინები რომ ტიტლიკანები იყვნენ, კარგი იყო?!

ნახატი **თამაზ ხუციშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიტარა

ავთანდილ გურგენიძე

გიხდ დაიჯერე,
გინდ—არა:
მელამ იყიდა გიტარა.

ერთი დღე-ღამე იწვალა,
მარტო აწყობა ისწავლა.

ორი დღე-ღამე იწვალა,
დაკვრა-თამაში ისწავლა.

სამი დღე-ღამე იწვალა,
ბოლოს სიმღერაც ისწავლა...

გეამებათ ნახვა

გიორგი კაჭახიძე

ია ქოთნის ბინადრად
იცით, როგორ იქცა?
ერთხელ ზაზამ ჩაჰყარა
იმ ქოთანში მიწა;

იის ნერგი თან ჰქონდა,
აილო და ჩარგო.
მორწყა,
გულით დალოცა:
— იხარეო, კარგო.

ნერგიც ლაღად იზარდა,
და სარკმელთან ახლა
ისე ხაროობს, ყვავილობს,
გეამებათ ნახვა.

ნახატები **მანანა მორჩილაძისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც არა— ქინცარა

ნოდარ შამანაძე

ჩემზე უთქვამს ვილაცას—
ხელს იბანს და პირს—არა!
აწი პირსაც დავიბან
— ვინც არა?
— ქინცარა!

ჩემზე უთქვამს ვილაცას—
ჭინჭყლია და მტირალა;
აწი აღარ ვიტირებ,
უნდა მერქვას მცინარა.
— ვინც არა?
— ქინცარა!

დედა სულ ჯაფაშია,
მუდამ ფეხზე ტრიალებს,
მივალ, მივეხმარები,
ჭურჭელს გავაკრიალებ.
— ვინც არა?
— ქინცარა!
წელს შევდივარ სკოლაში
და ასეთი გეგმა მაქვს,—
ხუთოსანი ვიქნები,
გავახარებ დედ-მამას,
— ვინც არა?
— ქინცარა!

დღეობაზე

ჯანსულ ნიქაბაძე

გვრიტმა გვრიტის დღეობაზე
გამოაცხო ხაჭაპური,
მოიწვია ფრინველები,
არვინ დარჩა დაჩაგრული.
ყველას ძლიერ მოეწონა
გვრიტუნიას ხაჭაპური,
ყველი ყველად გამოსჭამეს,
მასპინძელს კი დარჩა პური!

მეგობრები

ნანული გოცაძე

ნახატი გესო ხიდაშელისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არნახული ამბავი მოხდა: კატა და თაგვი დაძმობილდნენ.

მურია სიცილით კვდებოდა,— არაფრით არა სჯეროდა მათი მეგობრობა.

კატა სხვა თაგვებსაც აღარ ერჩოდა. მართლაც და, სად გაგონილა მეგობრის გვარტომის მტრობა?!

— დაგვხოცა ოჯახი შიმშილით ამ მატრაბაზმა! — შესჩიოდა მეზობელს დედა კატა, — აქაოდა, თაგვების მეგობარი ვარო, აგერ ერთი თვეა წამლად არ გვანახა თაგვის ხორცი.

— შენგან არ მიკვირს! ადექი და დაამწყვდიე ერთი ორი-სამი დღე სარდაფში; კუჭი რომ აეწვება შიმშილით, თაგვებს დაზოგავს?!

დედა კატაც ასე მოიქცა. ადგა და ჩაკეტა კატა სარდაფში.

გავიდა ერთი დღე, ორი, სამი. კატის დატყვევების ამბავმა მეგობარ წრუწუნას ყურამდეც მიაღწია. დარაზმა თავისიანები და შეუდგა ხვრელის თხრას სარდაფქვეშ. ბოლოს გამოთხარეს ხვრელიც და კატაც გამოიყვანეს სარდაფიდან. ერთი-ორი ყლუპი წყალიც დაალევინეს და მოასულიერეს.

კატას შიმშილისაგან კუჭი ეწვოდა, მაგრამ სიტყვას ხომ არ გასტეხდა.

აკი წრუწუნებმაც მოიხადეს ვალი მეგობრის წინაშე.

ამის შემდეგ თვით ურწმუნო მურიამაც კი დაიჯერა მათი მეგობრობის ამბავი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოკოზე

ზოთა ქავთარაძე

სად მოსულა, ჰაუ, მზე,
ჩქარა, ბებო, საუზმე!
სოკოებზე მივდივართ
მე და თედო ამ დილას,
ცოტა პური,
ცოტა ყველი
გაგვატანე სადილად.

ჩემი დედოფალა

თამარ აგულაძე

ჩემ საყვარელ დედოფალას
დღეს დავბანე პირი, ხელი,
დედასავით მოვუარე,
არაფერი დავაკელი.
თმა ლამაზად დავუწანი,
გავუკეთე თეთრი ბაფთა,
გავუკეთე თეთრი მძივი,
დავუქარგე კაბის კალთა.
ნეტავ ერთი თქვენც განახათ
ჩემი კარგი დედოფალა,—
ლოყებჩალაჟლაჟებული,
პრანჭია და ცისფერთვალა.

ხემ ხეს უთხრა

გივი ძნელაძე

ხემ
ხეს
უთხრა:
— ხეპრე
ნუ ხარ,
ნუ იზრდები დიდს...
შეაკლდება
შეშა ბუხარს,
დაგაგდებენ ძირს...—

იმ ხემ
ამ ხეს
უპასუხა:
— ვის ასწავლი, ვის,
ეგრე, შენ რომ დაგვაჯულხარ,
სიცოცხლეც არ ღირს!..

ნახატები სოფიო კინწურაშვილისა

თეთრი ხელმწიფე

ეტელკა ლანგი

უხსოვარ დროში ზამთარს თეთრ ხელმწიფეს ეძახდნენ. ეს ამბავიც უძველესია, მაშინ მოხდა, როცა თეთრმა ხელმწიფემ თოვლისა და ყინულისაგან ბრწყინვალე სასახლე აიშენა. სამეფო დიდებული ჰქონდა, თვალი მასზე უკეთესს ვერაფერს ნახავდა, თეთრ ქათქათა სამოსში გახვეული იყო ირგვლივ მთა და ბარი, პაწაწინა ფიფქები ტრიალ-ტრიალით ეშვებოდნენ დღე და ღამე ციდან და იქაურობას კიდევ უფრო მშვენებას მატებდნენ.

თეთრი ხელმწიფის სასახლე ულამაზესი იყო, მაგრამ იქიდან მხოლოდ სიცივე გამოდიოდა, ტყის ბინადარნი შეაწუხა ყინვამ და შიმშილმა. უჭირდათ სიცივეში სოროებიდან და ბუნაგებიდან გამოსვლა და საჭმლის შოვნა.

ბოლოს, ძალიან რომ მოშივდათ, გადაწყვიტეს თავს დასხმოდნენ ყინულის სასახლეს, დაენგრიათ და თეთრი ხელმწიფე ცხრა მთას იქით გაეძევებინათ. მაშინვე საქმეს შეუდგნენ; დაიძრნენ ჯგუფ-ჯგუფად სასახლისაკენ მგლები, გარეული ღორები, მელიები, ირმები, დათვები და დაუწყეს ყინულს მტვრევა, მაგრამ ვერაფერი დააკლეს. მერე ერთხმად ატეხეს ყეფა და ღრიალი. ემუქრებოდნენ თეთრ ხელმწიფეს: აქედან მოშორდი, თორემ შენს ციხე-კოშკს ნამსხვრევებად ვაქცევთო!

თეთრმა ხელმწიფემ ეს რომ გაიგონა, იმისთანა ყინვა გამოუშვა სასახლიდან, რომ აკანკალებული მხეცები ძაგძაგით და კისრისტეხით გარბოდნენ თავიანთი სოროებისაკენ.

ერთი კვირის შემდეგ მათ ისევ მოინდომეს ავი ხელმწიფის გაძევება. ახლა უკვე მინდვრის პატარა ცხოველებიც შემოუერთდნენ: კურდღლები, თხუნელები, ზაზუნები, ციყვები და ერთად შეუტიეს მეფის სასახლეს. ერთი ბაქია კურდღელი ყველაზე ახლოს მივიდა სასახლესთან და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყვირა:—ახლავე დატოვე აქაურობა და მოგვშორდი თავიდან, ეს ადგილი მინდვრის კურდღლების სამფლობელოაო! დანარჩენი მხეცები ისევ ეცნენ სასახლეს და

მტვრევა დაუწყეს.

თეთრმა ხელმწიფემ ახლა უფრო ძლიერი სიცივე გამოუშვა სასახლიდან და ერთი მელია იქვე გაიყინა. სხვებს შეეშინდათ და ისევ შინისკენ მოჰკურცხლეს. თხუნელა სირბილით შევარდა თავის სოროში და თან გაიძახოდა, რა გვეშველება? რა სიცივეა! სანამ თეთრი ხელმწიფე აქ იქნება, სოროებიდან ვეღარ ამოვალთ, რა გვეშველება, რა ვიღონოთ? ნეტავ გამოჩნდებოდეს ვინმე, ისეთი ჭკვიანი, ძლიერი და გამბედავი, რომ მშვიდობიანად მოგვაშოროს თავიდან თეთრი ხელმწიფეო!

გაიგონა თხუნელას სიტყვები მიწის ქვეშ ერთმა პაწაწინა უსახელო ყვავილმა და გაიფიქრა, მოდი მე წავალ, ვცდი ბედს, ვთხოვ იმ შეჩვენებულ ხელმწიფეს, იქნებ ყვავილის ენა გაიგოს, თანაც ძალიან მინდა მისი ნახვა, მე ხომ ხელმწიფე არასოდეს მინახავსო.

პაწაწინა ყვავილი მთელი ძალით მიაწვა თავით მიწას, გაარღვია და ზევით ამოვიდა. მაშინვე თეთრი ხელმწიფე აღიმართა მის წინ. იგი ღიმილით დაჰყურებდა ახალმოსულს, რომელიც მშვიდად ათვალიერებდა ირგვლივ გარემოს.

— ეს ვინ მოსულა!—გაუკვირდა ხელმწიფეს,— შენც მეფობა ხომ არ გინდა? იქნებ შენც პატარა ხელმწიფე ხარ?

— ო, არა, არა, მე ერთი პატარა ყვავილი ვარ, ჯერ სახელიც არა მაქვს.

— მერედა, როგორ გაბედე ამ სიცივეში აქ ამოსვლა, მე აქ ვერა მხედავ? ან იქნებ ჩემი არ გეშინია?

— მე ამოვედი, რომ მოგესალმო და თაყვანი გცეო!—უპასუხა ყვავილმა.

— რა თავაზიანი და საყვარელი არსება ყოფილხარ,—უთხრა ხელმწიფემ,—ძალიან მომეწონე და ჩემი სიახლოვით რომ არ გაიყინო, აქედან წავალ, ოღონდ ჯერ ღრუბლებს გადავყრი, რომ მზემ გამოანათოს და გაგათბოს.

— გმადლობთ!—ჩურჩულით უპასუხა პაწაწინა ყვავილმა.

— აქ მარტო როგორ დაგტოვო, შენს ირგვლივ რაც თოვლია, ახლავე ყვავილებად გადავაქცევ!—უთხრა თეთრმა ხელმწიფემ.

მართლაც თოვლი თვალის დახამხამებაში სადღაც გაჰქრა და მთელი მინდორი ყვავილებით დაიფარა.

— დღეიდან შენ თოვლის ყვავილს, ენძელას გარქმევ და ყველას ეყვარები შენი თავაზიანობისა და სიკეთისათვის!—უთხრა თეთრმა ხელმწიფემ, გამოემშვიდობა და გაუჩინარდა.

უნგრულიდან თარგმნა **ლილი მაისურაძემ**



ნახატები **ვახტანგ გულისაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაი და ეფენდის ახალი ხალათი

ყირგიზული ზღაპარი

ერთხელ ერთმა მდიდარმა ბაიმ თავის ერთადერთ ვაჟს დაბადების დღე გადაუხადა; მდიდრულად მორთულ-მოკაზმულ სტუმრებს საუცხოო დარბაზში გაუშალა სუფრა, უბრალო, ღარიბულად ჩაცმული სტუმრები კი ძველ, ვიწრო ქოხში დასვა.

ქეიფზე ეფენდიც მოვიდა. ტანზე დაფხრეწილი ხალათი ეცვა, ფეხზე—ძირგამოგლეჯილი ჩექმა. ბაიმ თავი ისე დაიჭირა, ვითომ ეფენდი ვერ შეამჩნია. მსახურებმა იგი ძველ იურტაში წაიყვანეს...

მეორე დღეს ეფენდიმ ახალი ხალათი ჩაიცვა, ფეხზე კრიალა ტყავის ჩექმები მოირგო, ზედ ახალი კალოშები წამოიცვა, ჩალმა მოიხვია და კვლავ ბაის ესტუმრა.

ყველა მოწიწებით მიეგება ეფენდის, თვით ბაიც გამოეგება სტუმარს. წაიყვანეს და საუცხოო დარბაზში დასვეს,—მდიდრულად მორთულ-მოკაზმულ ხალხთან.

დაჯდა ეფენდი, აიწია ხალათის კალთა, ფლავიან ჯამში ჩატენა:

— ჭამე, ძვირფასო სტუმარო, ჭამე, რამდენიც მოგესურვოს!—რამდენჯერმე გაუმეორა ფლავში ჩატენილ ხალათის სახელოს.

ბაი გაოცდა:

— ჰეი, ეფენდი, რას შვრები, ფლავი ხალათმა კი არა, კაცმა უნდა ჭამოს!

ამაზე ეფენდიმ უპასუხა:

— გუშინ დაგლეჯილი ტანსაცმლით რომ მოვედი, ზედაც არვინ შემომხედა, დღეს კი ძვირფასად გამოწყობილს, შეხვედრაც ჩემი ტანსაცმლის შესაფერი მომიწყეთ! გამოდის, რომ მე კი არა, ჩემი ტანსაცმელია პატივსაცემი და ამიტომაც მასვე ვუმასპინძლდები!

თარგმანი **მირონ ხერგიანისა**
ნახატი **თამაზ ხუციშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუნელის პეპელა

არჩილ ჯანაშვილი

დედამიწაზე ოთხმოცი ათასზე მეტი სახეობის პეპელა დაფარფატებს: წითელი, ყვითელი, იისფერი, იასამნის ფერი, მოშავო, ლურჯი; ზოგი ქათქათა,—თეთრი, ზოგი კი—ხალიჩასავით მოხატული და აჭრელებული.

ფრენის დროს პეპელა წამში ათჯერ მაინც აიქნევს ფრთებს. კაშკაშა ფერების გამო პეპელა შორიდანვე მოჩანს.

პეპელა თხიერი ნივთიერებით—მცენარეთა ნექტრით, ან მერქნიდან გამონაყონი წვენით იკვებება.

პეპლის კვერცხიდან პაწია მატლი იჩეკება, რომელსაც მური ეწოდება, რომ წამოიზრდება—მუხლუხო.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, მაისიდან ივნისის დამლევამდე ტყისპირებში, ბაღებში, ვენახებში და ეზოებში დაფარფატებს მოზრდილი თეთრი პეპელა. ეს კუნელის პეპელაა. მას ოდნავ გამჭვირვალე და შავი ზოლებით მოხატული თეთრი ფრთები აქვს.

ხშირად მაისში კუნელის, ვაშლის, კვრინჩხის, ღოლნაშოს ფოთლებზე მკვეთრი წითელი ფერის სითხის წვეთებს ვამჩნევთ.

ეს შემდეგნაირად ჩნდება: კუნელის პეპელა, ფოთლის ქვედა მხარეზე დებს მსხვილ კვერცხებს. მათგან გამოჩეკილი მატლები ჯგუფად ცხოვრობენ და საერთო „ბუდეს“ იკეთებენ, რისთვისაც ფოთლებს შორის ქსელს ხლართავენ, გამხმარი ფოთლები—კუნელის პეპლის „ბუდე“—მთელი ზამთარი ხეზე ჰკიდია. გაზაფხულზე პეპლის მურები მუხლუხოები გახდებიან და ჭუპრდებიან. ჭუპრიდან პეპელა გამოდის. ამ დროს კი პეპელა ნაწლავიდან რამდენიმე წვეთ მკვეთრი წითელი ფერის სითხეს უშვებს, რომელიც ხის ფოთლებსა და ტოტებს ღებავს.



ჩემი თოჯინა

თოჯინა მყავს ლამაზი,
ცისფერთვალა მარინა,
ცეკვავს, მღერის, თამაშობს,
ოდელია რანინა!

ახლა ძილის დრო არის,
თვალებს ხუჭავს მარინა,
დაიძინე პატარავ,
ნანა, იავ-ნა-ნი-ნა.

ლექსი **მირონ სურგულაძისა**

მუსიკა **მერაბ მერაბიშვილისა**



მამას სძინავს

თინათინ კვირიკაძე

მაკა აღარ მეთამაშა,
რომ ვესტუმრე ამას წინათ,
ყოველ წუთში მიძახოდა:
— სუ, სუ, სუ, სუ! მამას სძინავს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოცანა

იმერი ხარაძე

ამოცანა ცანიაო,
მთაზე მოჩანს ცხვარიაო...
სამი ბალახს იწიწკნება,
მზეზე ბრწყინავს ცვარიაო...

სამი იქვე იცოხნება,
წყاროსკენ ქვს თვალიაო...
ერთიც შვილს ეთამაშება,
ჭამისთვის არ სცალიაო...

ამოცანა ცანიაო,
სულ რამდენი ცხვარიაო?!

თავსატეხი



შეავსეთ ცარიელი უჯრედები საქართველოს ქალაქების სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში მივიღოთ სიტყვა ,,ბამი''.

შეადგინა გორის რაიონის, სოფელ ქიწნისის საშუალო სკოლის მოსწავლემ **ქეთევან ნოჯაშვილმა.**

მურიკელა

ტარიელ ხავთასი

მიპასუხე, მურიკელა,
რომ მიყურებ ალმაცერად:
მაგ თბილ ქურქში ზამთარ-ზაფხულ
ან არ გცივა, ან არ გცხელა?!

შარადა

ჯერ განთიადის მეორე
სახელწოდება მითხარ,
სამმარცვლიანი სიტყვაა,
ფიქრი არ გინდა დიდხანს.
თუკი ეშმაკი ცხოველიც
ცნობილი არის შენთვის,
მისი პირველი ბგერაა,
რომელიც თავში ერთვის.—
რარიგ მოხატა მთა-ბარი,
აბა, შეხედე ერთი!

ზოთა ამირანაშვილი

ოჯუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა
76055

წყაროზე

ავთანდილ მეგრელიშვილი

— საით გარბიან ხელადით
ტარიელი და მურია?
— წყაროზე მიიჩქარიან,
ბაბუას წყალი სწყურია.

ნახატი **მზია უგულავასი**

მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბულაშვილი, ედუარდ ამბოკაძე, კუკური გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯიმშერ მუჯირი, გიორგი როინიშვილი (სამხ. რედაქტორი), იორამ ქემერტელიძე (პ/მგ. მდივანი) რობერტ ღარიბაშვილი, გივი ძნელაძე

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

საქ. ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი. ყდაზე ნახატი მანანა მორჩილაძისა
გამოცემის 49-ე წელი.
ტექრედაქტორი ენდი ფარეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის —93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნოსი — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 20/II-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/IV-76 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 157.250. შეკვ. № 695. „Дила" № 5. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.